

**ვითარებითი ბრუნვის გამოხატვისათვის
ქართული ენის ტაოურ დიალექტში**
**EXPRESSING ADVERBIAL CASE
IN TAOIAN DIALECT
OF THE GEORGIAN LANGUAGE**

ეკა დადიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

Eka Dadiani

Akaki Tsereteli State University
Kutaisi. Georgia

ABSTRACT

The adverbial case in the speech of the Georgians of Tao is mainly formed by the allomorphs that are characteristic of the Georgian literary language and the dialects. However, the frequency of their occurrence is rather different. The -a suffix is the most common one, to which in some cases -i/-y is added. The occurrences of the variants that include d/t consonant (-ad/-at/-d/-t) are relatively rare. It is noteworthy that as an alternative to the adverbial case, the forms of the nominative case or postpositional forms (-ze, -baaze/barze) are quite frequently represented, which are less common in other dialects. The adverbial case forms primarily manifest manner and purpose, while the expression of time and place is relatively uncommon. Almost no occurrences of translative and sequential functions have been attested.

We believe, the above-mentioned facts refer to the weakening of the position of the adverbial case in the Taoian dialect which could be explained by the influence of the Turkish language; there is no adverbial case in Turkish, mainly the nominative or dative forms are applied to express the relevant content. The use of the nominative case or postpositional forms as having the adverbial function is not uncommon in Georgian either, however, its activation in those constructions where the adverbial case is established in Georgian, should have been driven by close contact with the Turkish language. This is evidenced by the data of Laz, the Kartvelian subsystem functioning within the sphere of Turkish. Currently, there is no adverbial case in Laz (its function is performed by the nominative case), though historically it should have occurred here.

In terms of expressing the adverbial case, the Taoian dialect exhibits common Georgian tendencies, on the one hand, and those changes that emerge as a result of bilingualism, on the other.

საკვანძო სიტყვები: ქართული დიალექტოლოგია, ტაოური დიალექტი, სახელის ფორმაწარმოება, ვითარებითი ბრუნვა.

Keywords: Georgian dialectology, Taoian dialect, formation of nominals, adverbial case.

ვითარებითი ერთ-ერთი უძველესი ბრუნვაა ქართულში. ის სხვადასხვა ალომორფის სახით რეალიზდება სამწიგნობრო ენასა და დიალექტებში.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფები, როგორც წესი, ფონოლოგიური პრინციპით არის განაწილებული: თანხმოვნით დასრულებულ ფუძეებს -ად დაერთვის, ხმოვანფუძიანებთან კი -დ გვაქვს. -ა ალომორფი გამოვლინდება: ა) -მდე/-მდის თანდებულიან ფორმებთან: სახლ-ა-მდე, სოფლ-ა-მდის... ბ) ადგილის, დროის, ვითარების აღმნიშვნელ სიტყვებთან: მალლ-ა, დაბლ-ა, ახლ-ა, ნელ-ა... -და, ჩვეულებრივ, ნაცვალსახელებთან არის წარმოდგენილი: შენ-და, ჩვენ-და, მის-და... -ც ნაწილაკის წინ გავრცობილი სახით იხმარება: კაც-ად-ა-ც, მზე-დ-ა-ც...¹

შდრ., ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს, ჩვეულებრივ, -დ დაერთვის, თანხმოვანფუძიან სახელებთან კი ყველა ალომორფი შეიძლება შეგვხვდეს; ვითარებითის ფორმათა გავრცობა უცხოა (შანიძე 1930, 1976; ჩიქობავა 1937; შარაძენიძე 1956; იმნაიშვილი 1957...). იშვიათად ძველ ქართულში -ად/-დ სუფიქსებს -ათ/-თ ენაცვლება (სარჯველაძე 1975: 120).

ვითარებითი ბრუნვის გამოხატვა დიალექტებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის კილოები, რომლებიც უცხოენოვან გარემოში არიან მოქცეული. საანალიზო დიალექტი რამდენიმე საუკუნეა ქართული ენობრივი სამყაროსგან იზოლირებულია და თურქული ენის გავლენას განიცდის. თურქული-სათვის ვითარებითი ბრუნვა უცხოა. ამდენად, საინტერესოა, ტაოელ ქართველთა მეტყველებაში რამდენად მყარია ვითარებითი ბრუნვის პოზიციები და შეიმჩნევა თუ არა თურქული ენის გავლენა ქართულისათვის სპეციფიკური ბრუნვის რეალიზების თვალსაზრისით.²

I. ზოგადად, ვითარებითი ბრუნვა ტაოურში იმ ალომორფებით გამოიხატება, რომლებიც სხვა კილოებშიც გვაქვს. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში შეინიშნება თავისებურებები.

1. ვითარებითი ბრუნვის ფორმათა მაწარმოებლად ყველაზე ხშირად -ა (<-ად) სუფიქსი იხმარება. -ა ფორმანტით გაფორმებულია სხვადასხვა სტრუქტურისა და სემანტიკის სიტყვები. კერძოდ, ის დაერთვის:

ა) ზედსართავ სახელებს (აღნიშნება ვითარება):

წორა (= სწორ-ად) ვერ გვიხვავათია (გვისაუბრია); მიწა დეითხრება ადვილა (= ადვილ-ად); მაგრა-ნა (= მაგრ-ად უნდა) დაასო; ფქვილ ჩაყრი, კარგა (= კარგ-ად) მოხრაკავ; ცქვიტა (= ცქვიტ-ად) ჩავლენ (ექსპედ. მასალა).³

მსგავსი დაბოლოებით გვხვდება თურქული (სპარსული, არაბული...) წარმომავლობის სახელებიც. მაგ.:

¹ ვითარებითი ბრუნვის ნიშნის 0 (ნულოვან) ალომორფს გამოყოფენ ატრიბუტულ და სუბსტანტიურ მსაზღვრელებთან: ლამაზ-0 ხე-დ, პატარა-0 ხე-დ, კაცის-0 ხე-დ... შდრ., ძველ ქართულში ანალოგიურ ვითარებაში -დ და 0 ალომორფები ენაცვლებიან ერთმანეთს: მე-დ კაცის-ად / მე-დ კაცისა-0, კაცის-ად მე-დ / კაცისა-0 მე-დ (უთურგაიძე 1986: 27, 63).

² თურქულის მონაცემების ანალიზისას კონსულტაციას გვიწვედა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თურქოლოგი გიგა ქამუშაძე, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

³ გაანალიზებული მასალა ჩაწერილია ჩემ მიერ ტაოში პროფ. ტარიელ ფუტკარაძის

მურევთ დილბერა, ამოა ცომი (სპ. dilber „ლამაზი, მიმზიდველი“). შდრ.: დილბერი თორუნი (შვილიშვილი) მყავსა.

თუ კარგა, დალუზა (=კარგად) შეხედავ, ისე მოვა ქი; მარილი ბევრი შიაცრი ქი, დალუზა გუძლოს. შდრ.: აქო დალუზი (=კარგი) ალაგია.

ბ) **-ულ/-ურ** სუფიქსიან ფორმებს (აქაც ვითარება აღინიშნება):

სხვა სომ (სხვანაირი) ქართულა (= ქართულ-ად) ხვაათობენ; გურჯულა (= გურჯულ-ად) აღარ-ნა იხვართო, ისე ანჯახ თურქულა (= თურქულ-ად) დეჩვიეს; უწინდულა (= უწინდულ-ად „უწინდებურად“) ა(რ) გვეხვათებთან; მეც აქობაჩი დავხტივარ, ჩემებურა (= ჩემებურ-ად) დავხტივარ; სხვა სომ ყვაილი, სული (სუნი) აქვა, მისებურა (= მისებურ-ად) მოლამის (ექსპედ. მასალა).

-იან, -იერ სუფიქსებით გაფორმებულ სახელებთან იშვიათად ფიქსირდება:

ერთიანა (=ერთიან-ად) ამოვა, წავა თავშამისკე; ტაკველაზე წასვლაზე მაგვირა (=მაგივრ-ად) მარჯვენაში წავსულვარ (ექსპედ. მასალა).

გ) **სა-** – **-ელ** და **სა-** – **-ავ** კონფიქსებით ნაწარმოებ მიმღობებს (გამოხატავს მიზანს). ზმნისწინიან ფორმებში, ხმოვნებს შორის პოზიციაში, **სა-** პრეფიქსისეული **ს** თანხმოვანი მეტწილად იკარგება:

კაცები ბოძნა წავლენ ფული მაგებლა (=მოსაგებელად „მოსაგებად“); მივდივართ ნეკერზე დაადგმელად (=დასადგმელად), დააკაფავა (=დასაკაფავად); ბგანო და ბიჭი დაანახავა (=დასანახავად) მოვნეს; დილაი თევზი დაჭირავა (=დასაჭირავად „დასაჭერად“) წახვალ; კილო წავალთ სასაქმებლა (=სასაქმებლად „სამუშაოდ“); მასუკან საკითხავა (=საკითხავად „სასწავლად“) წეველით; იქვიარებით, ქომო, ქორიეთ, სარწყავა (=სარწყავად); სათესავა (=სათესავად) მოვდივართ ახლა (ექსპედ. მასალა).

ზღაფხულჩი არ წევდოდეს სამუშაველა (=სამუშაველად „სამუშაოდ“), ასაღებელა (=ასაღებელად „ასაღებად“) (ტაო 2020: 983); აქ სავლეელა (=სავლეელად) მოვდივართ (იქვე: 1007).

ანალოგიური წარმოება ცნობილია ინგილოურში, აჭარულში, იმერხეულში, ლივანურში... (იმნაიშვილი 1966: 90; ნოლაიდელი 1960: 28; ფუტკარაძე 2016: 65, 182).⁴

სა- – **-ავ** კონფიქსით იწარმოება აგრეთვე დროის ზმნისართები: **საწინავა, საძიგავა:**

მასუკასაც, მერესაც ართუხ საწინავა გაყერი; ნელა იმატეფს, ახლა ოთხასი გეძარა, საწინავა ხუთასზე გავა; შარშან მე ავათ ვიყავ, საწინავა კაძ-ნა ვიყვე; დღეს, ხუალ [ვისაქმეფთ], საძიგავა ა(რ) ვიქამთ; საძიგავა-ნა გომოვდეს; დღესა, ხუალა, საძიგავაძა, მააზეგ... (ექსპედ. მასალა).

საწინავა აღნიშნავს: „მომავალ წელს / სამომავლოდ“. შდრ. **საწინაო** – მომავლისა, სამერმისო (ქეგლ).

საძიგავა „ზეგ“. შდრ. **საზეგიოდ** – ზეგ მოსახდენად, ზეგისათვის (ქეგლ).

ხელმძღვანელობით განხორციელებული დიალექტოლოგიური ექსპედიციების პერიოდში (2009-2019).

⁴ შდრ. ძვ. ქართ. ფორმები: სა-ლოცვ-ელ-ად, სა-წამებ-ელ-ად... (იმნაიშვილი 1957: 747).

დ) **უ** – **-ელ**, **უ** – **-ავ** კონფიქსებით გაფორმებულ სიტყვებს (გამოხატავს ვითარებას). მაგალითად:

უკითხნელა (=უკითხნელად „უკითხავად“) არ იქსა; უტირებლა (=უტირებლად) ა(რ) დგებიან; გუუხმობლა (=გაუხმობლად) ა(რ) მოვჭრიდით; მუურწყველა (=მოურწყველად) არ იქსა; აქობაში უმურწყველა⁵ არ მოვა რამ; გუჩქავა (=გაუჩქავად) არ დეირთვება (ექსპედ. მასალა); უმუშავებლა (=უმუშავებლად „უმუშევრად“) ფარა მოგება უნდანან (ტაო 2020: 1095).

შდრ., -**ავ** გვხვდება ოდენ **-უ** პრეფიქსიან ფორმებთან: **უ-ჩუმ-ა** (<უ-ჩუმ-ად „ჩუმად, ჩუმის გარეშე“), **უ-სულ-ა** (<უ-სულ-ად „სულმოუთქმელად“):

ღამი იარებიან უჩუმა; უჩუმა ჩვენ ხანდამ დავბრუნდით, უსულა, უსულა (ექსპედ. მასალა); ბაშთან უჩუმა ულოციან (ტაო 2020: 997); უჩუმა ჰკლენ (იქვე: 1026).

ე) კომპოზიტური წარმომავლობის სიტყვას: **ერთპირა** „ერთიანად, ერთად“:

კად ადგილი თუა, ერთპირა დათესავ; ბოდნა ერთპირა ჩეცვამთ; ბოდნა ერთპირა მუკდუნებიან; ბოდნა ერთპირა შეიწვება (ექსპედ. მასალა).

ვ) **-მდე/-მდი(ნ)** თანდებულიან ფორმებს. ჩვეულებრივ, გამოხატავს ადგილს, დროს:

(ღმერთმა გაგახარნენ, ხელ-ფეხი თავამდი მოქცენ; წინდა გირძელი [არ], აქო მუხლამდი (ექსპედ. მასალა); სარიგლამდინ აბლი გზა დარჩა (ფუტკარაძე 2016: 287); ყიამდინ გასვლამდინ ჩეიცვი (იქვე).

თქუენ მოსჴლამდე ბევრ წუმდა; იმხნამდე არ-ნა მიცე, იმხნამდი ქი მიცემ, მარქუალი წყლიანი გომოა; ვიარებოდით, სალამოპირამდი ემე იქმოდა; დათვი აწმამდი (=აქამდე, ამ დრომდე) არ იყო, აწმამდი არ იყო და ახლა ცოტა-ცოტა გაჩნეს (ექსპედ. მასალა); აწმამდი არ ვიცოდი (ტაო 2020: 979).

შდრ. ძვ. ქართ. **აწამომდე** – აქამდე (აბულაძე 1973); **აწისამდე** – ამ დრომდე (სარჯველაძე 1995).

ზ) **რაფა / რეფა** ვითარების ზმნისართს, რომელიც არქაული **რაგვარი** კითხვითი ნაცვალსახელისაგან ნაწარმოები **რაგვარად** სიტყვაფორმის ფონეტიკური ტრანსფორმაციით არის მიღებული. ფონეტიკური ცვლილების გზა ასეთია: **რარიგად > რარიგა > რაიგა / რაფა > რეიგა / რეფა**. მაგალითები:

რაფა გითხრა; პური გომოცხოზა რეფა იქმენ? თქვე რეფა იცით? მას უკან რეფა იქნა, რეფა იქნა, იცი? ართუხ რეფა რამ ყოფილა (ექსპედ. მასალა).

დასტურდება **რავა / რავაი / რავად** ფორმებიც:

რავა ზოფა იცდიან (ექსპედ. მასალა); რავად უთხრა-ნა? რავად ხარ? (ფუტკარაძე 2016: 286).

შდრ., შ. ფუტკარაძეს დაფიქსირებული აქვს **რავარ / რავლა** ვარიანტებიც: თოვლში რავარ ჩანს? რავლა გუდუღულია (იქვე).

დასტურდება **რეფანცხა** „როგორადაც“ (საცხა, ვინცხა... ფორმათა ანალოგიით): რეფანცხა ჩუენ ახლა ვმუშაოფთ, ზამთრი ჰაზილულ ვიჯებით (ექსპედ. მასალა).

⁵ უმურწყველა ორმაგი -უ პრეფიქსითაა გაფორმებული: უ-მო-უ-რწყვე-ელ-ად.

ვითარებითი ბრუნვის ფორმანტი -ა (< -ად) ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისთვის არის დამახასიათებელი. ფშ.: ის ლამაზა იუბნებს; ემაგეებს კარგა მაუარეო; ბალღ რარიგა დამჰკარგევ (ცოცანიძე 1978: 51); ხევს.: სადილა დააცხოზენ კეცეულებს; ადვილა საშოვარია; ყანის სამკალა შააგროზენ ქალ-ვაჟთ; თუმ.: თუმურაჟ ყველს აკეთებენ რაცვერც ძროხის, აგრევე ცხვრის ზისას; პირველაჟ ზეს (-რძეს) გონთ (-კარგად) გასწორვენ... (ჯორბენაძე 1998: 558).

შედარებით იშვიათად დასავლურ კილოებშიც გვხვდება. ქვ.იმერ.: სწორ-ა, კარქ-ა, ჩუმ-ა, ტყულ-ა... (კუბლაშვილი 1985: 95). -ა ხშირია -იან სუფიქსიან ფუძეებთან: ქვ.იმერ.: ცოლშვილიან-ა, ჯორიან-ა, ხურჯუნიან-ა (იქვე); აჭარ.: ხიბაკიან-ა, გოდრიან-ა (ნიჟარაძე 1961: 68); ჯავახ.: ძირიან-ა, მოწაფიან-ა, ჯარებიან-ა (მარტიროსოვი 1984: 52-53).

ტაოურში ვითარებითის -ა დაბოლოებიან ფორმებს არცთუ იშვიათად დაერთვის -ა / -ი:

თუ ზენგინი (მდიდარი) არ არი, მისებურად რაცხა ქი იქსა; ართუხ თურქულად ზაზა გადარეველი არიან; ისაც ხადნურად შეხედავ, ხვდები (ექსპედ. მასალა).

ადვილად წახვალო (ფუტკარაძე 2016: 280); იმხან უჩუმალად ულოციან (ტაო 2020: 997); უჩუმად სმენ (იქვე: 755); ის ტყვილად არ იხვარათებს (იქვე: 1046); აქ ბითთავად (ერთიანად) ემექლები ვართ აქა (იქვე: 1096); ბითევად იქ ვიყავით (იქვე: 1041).

-ა / -ი დაბოლოებიანი ფორმები ცნობილია რიგ კილოებში: იმერხ.: ლისეში ერთად ვკითხულობთ; ჩემ სანახველად მეიყვანა (ფუტკარაძე 2016: 65); ლივან.: წევდენ სანახველად; მივდენ გოგოს სათხოვნელად (იქვე: 182); მაჭახლ.: თათრულად შევეხვეწოთ (იქვე: 229); აჭარ.: დუკითხავად, უდუხვენებლად... (ნიჟარაძე 1961: 69); გურ.: განგებად „განგებ, განგებად“ (ჯორბენაძე 1998: 559); ინგ.: გონები, მასხარად მიგდებსავ (იმნაიშვილი 1966: 90).

ვითარებითის ფორმებთან წარმოდგენილი -ა / -ი შეიძლება განვიხილოთ როგორც გაჩენილი ბგერა, ფონეტიკური დანართი (იმნაიშვილი 1966: 90; ჯორბენაძე 1998: 559). შდრ., -ა / -ი დაბოლოება სახელობითი ბრუნვის ნიშანია (ფუტკარაძე 2016: 182, 229; ტაო 2020: 755); -ა ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფია (აბაშვილი 2009: 91).

2. -ად / -დ ალომორფები უცვლელი სახით იშვიათად იხმარება. მაგალითად:

სახში მოველ, ავად გავხთი (ექსპედ. მასალა);⁶ რატომ ეფფურად ყიდავო (ტაო 2020: 1072); იქ შევეყრებოდით ძველად (იქვე: 1042); მეზერში ჩასადებად მოჰყავან (იქვე: 1064).

სიტყვის ბოლოკიდურად, პაუზის წინა პოზიციასში, -ად / -დ, ჩვეულებრივ, ყრუვდება და -ათ / -თ ვარიანტების სახით არის წარმოდგენილი, რაც საერთოქართული მოვლენაა. საილუსტრაციო ნიმუშები:

ავათ გახთები, თაი ეგენტება; აქ ძველათ ბგანები (ქალიშვილების) კითხვა არ იყო; ბითთავათ დაანარცხევს; უჩუმათ თუ მოჭრავს, ვიწაკი-დეფთ; სოფელი პირველათ (=ძველად) იქ მოსულან (ექსპედ. მასალა).

⁶ ვითარებითის -ად დაცულია ნაწარმოებ სიტყვაფორმებში: ავადნეველი / ავადეველი (< ავად-ეულ-ი) „ავადმყოფი“, ავადნობა (<ავად-ობა) „ავადმყოფობა“

არვის დააყენებს მოსაფირათ (ფუტკარაძე 2016: 280); მაგრათ ამუშავე (იქვე: 288); ყუბითლათ გომოჩენილა (იქვე: 288); ხუთმეტი ერთათ დადიან (ტაო 2020: 1010); მველათ გზა-მზა არ ყოფილა ქომოთ (იქვე: 977).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზმნური ფორმები – ცხელა, ცივა – ხშირად აღწერილია, შედგენილი შემასმენლით გადმოიცემა: სახელადი ნაწილი ვითარებითში დგას. მაგ.:

ახლა ზააბა ცხელათ არი (=ცხელა); მიზე ჩავა, ცივათ არი⁷ (=ცივა) (ექსპედ. მასალა).

ვითარებითის ფორმათა გავრცობის ნიმუშები (-ად-ა/-ათ-ა, -დ-ა/-თ-ა) ტაოელ ქართველთა მეტყველებაში იშვიათად დასტურდება. თითო-ოროლა შემთხვევა ფიქსირდება გამოქვეყნებულ ტაოურ ტექსტებში:

იარებიან მილეთი სასეირნოთა (ფუტკარაძე 2016: 280); ბალხში წასულა სანადიროთა (ტაო 2020:1095).

II. ტაოურ დიალექტში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ვითარებითი ბრუნვის პოზიციაში სხვა ბრუნვის ფორმა იხმარება.

1. ვითარებითის მონაცვლედ ხშირად სახელობითი გვევლინება. გამოიყენება ვითარების გარემოების ფუნქციით (შესაბამისი კითხვები: როგორ? რამდენად?)⁸ მაგ.:

ლამაზი (=ლამაზად) გუაჰმოფთ; ასე გურგულადი (=მრგვალად) გუაჰმოფთ; კად (=კარგი „კარგად“) ხარა? წყალი იმდენი (=იმდენად) გეიზდება ქი, ა იმ ჰიდებზე შეწვდება; ახლა იმდენი (=იმდენად) ცხელათ არ არი (ექსპედ. მასალა); სახში ფაქა (თეელი = მთლიანად) ქართული (=ქართულად) ვხვართობდით (ტაო 2020: 756).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტაოურში სახელობითი სისტემებზე გამოიყენება გარდაქვევითობის სემანტიკის გადმოსაცემად. ვითარებითი ბრუნვის შემცველი კონსტრუქცია (მაგ., *თოვლი წყლად იქცა* ტიპისა) ვერ დავადასტურეთ.⁹ მაგალითები:

ყანები ჭალა შეიქნა (=ჭალად იქცა) ახლა; იმხან ცეცხლი-ნა მისცე, ნაწველი ყველი შეიქნება (=ყველად გადაიქცევა) (ექსპედ. მასალა); ბიჭიც თაზე აყუდებულა, თა შექნილა (=მთად ქცეულა) (ტაო 2020: 1028); ქვა შექნილა (=ქვად ქცეულა) კაცი (იქვე: 1039).

2. მიზნის სემანტიკის გამომხატველ წინადადებებში მოსალოდნელი ვითარებითის ნაცვლად გამოიყენება **-ზე** თანდებულიანი საწყისისა¹⁰ და მიმღებობის ფორმები.¹¹ მაგ.:

ნადირობაზე (=სანადიროდ) ჩასულან იქეტრობაში; ავჯობაზე (=სანადიროდ; ავჯობა „ნადირობა“) წაველით ჩქენა; სიარულზე (=სასიარულოდ „სასეირნოდ“) მოსულხარ; სავლელაზე (=სავლელად)

⁷ შდრ აღწერთი წარმოება ახასიათებს თურქულს, სადაც, ტაოურისაგან განსხვავებით, ზედსართავი სახელი სახელობითის ფორმით იხმარება. მაგ.: *sıcak var* „ცხელა“ (ზედმიწ.: „ცხელი არის“), *soğuk var* „ცივა“ („ცივი არის“) (გოცირიძე 2003:22).

⁸ შდრ. თურქულში ვითარების გარემოება და ატრიბუტული განსაზღვრება, ჩვეულებრივ, ერთნაირი ფორმით გამოიხატება. მაგ.: *güzel yazıyor* „ლამაზად წერს“. შდრ. *güzel kız* „ლამაზი გოგო“.

⁹ შდრ. თურქულში ვითარებითის პოზიციაში სახელობითია წარმოდგენილი: *kar su oldu* (ზედმიწ.: „თოვლი წყალი გახდა“).

¹⁰ შდრ. ძვ. ქართ.: ნადირობა-დ, ქადაგება-დ, განკითხვა-დ... (იმნაიშვილი 1957: 748-749).

¹¹ მსგავს კონსტრუქციაში თურქულში საწყისი, ჩვეულებრივ, მიცემით ბრუნვაში დგას:

წაველ; დიდ კაცებ გაგზავნენ სათხოვნებაზე (=სათხოვნელად) (ექსპედ. მასალა)...

ე წალდი, დაკაფაზე (=დასაკაფად) ვხმაროფ (ტაო 2020: 1077); აქ სავლელა მოვდივართ, ზიარეთზე, ხისიმების დანახვაზე (=სანახავად) (იქვე: 1007); მომსურნეს და დანახვაზე (=სანახავად) გუმუელ (იქვე: 1060).

შდრ. ქვ. იმერ.: სავაჭროზე (=სავაჭროდ) ვიყაი ქალაქში (კუბლაშვილი 1985: 95).

პარალელურად დასტურდება **ბააზე** < **ბარზე** „ბარობაზე, -თვის“ თანდებულებიანი ფორმები. აღნიშნება მიზანი, დანიშნულება:

ბოდნა ყურბეთში ვიყავ მეა, ფარა მოგები ბააზე (=მოგებისთვის, მოსაგებად) ყურბეთში; აქ სიგარა გაგდები ბააზე (=გაგდებისთვის „თავის დასანებებლად“) დოხთორ უთხარით, მეგეფეროსო; ჩვენც ბაირამზე მეველით აქა ანა ხელი საკოცნელი ბააზე (=საკოცნელად); ქარჩიხზე (გაზაფხულზე) კიდე დაათესად ბააზე (=დასათესად) თესლი-ნა შეინახო; წყლი ბოჯეგები (ჭიები) არი, დანი, გირმანი, თევზი დააჭირად ბააზე (=დასაჭერად) (ექსპედ. მასალა).

შდრ. **ბარობა** – მის **ბარობაზე** – მისთვის, მის წილად; (ვისიმე) ბარობით – ზმნს. (ვისიმე) მიზეზით, (ვისიმე) გამო (ქეგლ).

მესხური: **ბარა: ბარაზე, ბარობაზე** – თაობაზე, შესახებ, გამო: საცინარი საქმის **ბარაზე** უთქვია (ქდვ: <https://www.ice.ge/liv/liv/mesxuri.php#>).

ინგილოური: **ბარადან:** -თვის, გამო: მაგი **ბარადან** მე გოილანზდ (როსტიაშვილი 1978; ქდვ: <https://www.ice.ge/liv/liv/ingilour.php>).

როგორც ვხედავთ, ტაოელ ქართველთა მეტყველებაში ვითარებითი ბრუნვა უმთავრესად იმ ალომორფებით იწარმოება, რომლებიც ქართულ სამწიგნობრო ენისა და კილოებისთვის არის დამახასიათებელი. თუმცა მათი გამოვლენის სიხშირე რამდენადმე განსხვავებულია. ყველაზე გავრცელებულია **-ა** სუფიქსი, რომელსაც რიგ შემთხვევებში **-ი/-ი** დაერთვის. **დ/თ** თანხმოვნის შემცველი ვარიანტები (**-ად/-ათ/-დ/-თ**) შედარებით იშვიათად რეალიზდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსალოდნელი ვითარებითი ბრუნვის მონაცვლედ საკმაოდ ხშირად გვხვდება სახელობითის ან თანდებულებიანი (**-ზე, -ბააზე/ბარზე**) ფორმები, რომლებიც სხვა კილოებში ნაკლებად ფიქსირდება. გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევები (უჩუმათ / უჩუმა / უჩუმად / უჩუმალად; სავლელა / სავლელად / სავლელაზე; ბითთავა / ბითთავად / ბითევად / ბითევათ...). ვითარებითის ფორმებით უმთავრესად გადმოიცემა ვითარება და მიზანი, შედარებით იშვიათად გამოიხატება დრო და ადგილი. არ დასტურდება გარდაქცევითობის ფუნქციით.

ვფიქრობთ, აღნიშნული ფაქტები ტაოურში ვითარებითი ბრუნვის პოზიციის შესუსტებაზე მიუთითებს, რაც თურქული ენის გავლენით შეიძლება აიხსნას; თურქულ ენას ვითარებითი ბრუნვა არა აქვს და შესაბამის შინაარსს ძირითადად სახელობითის ან მიცემითის ფორმით გადმოსცემს. ვითარებითის მონაცვლედ სახელობითის ან თანდებულებიანი ფორმების გამოყენება ქართულისთვისაც არ არის უცხო (მაგ., უეჭველი/ უეჭველად წავიდა, ნამეტანი/ნამეტნავად მოეწონა... ნახევარ ფასში/ფასად გაყიდა). თუმცა მისი გააქტიურება იმ კონსტრუქციებში, სადაც ქართულში მაგ.: avlanmaya gitti „სანადიროდ წავიდა“ (ზედმიწ.: „ნადირობას წავიდა“).

ვითარებითია დამკვიდრებული, თურქულთან მჭიდრო კონტაქტით უნდა იყოს შეპირობებული. ამას მოწმობს თურქულენოვან ველში მყოფი ქართველური ქვესისტემის – ლაზურის მონაცემები. ლაზურში ვითარებითი ბრუნვა დღეს ფაქტიურად არც არის (მისი ფუნქცია სახელობითმა იტვირთა), თუმცა ისტორიულად აქაც უნდა არსებებულყო (ჩიქობავა 1936: 51; Климов 1962: 82-84; კარტოზია 2005: 85...).

ტაოური დიალექტი ვითარებითი ბრუნვის გამოხატვის თვალსაზრისით გვიჩვენებს, ერთი მხრივ, საერთოქართულ ტენდენციებს, ხოლო მეორე მხრივ, იმ ცვლილებებს, რომელიც ბილინგვიზმის შედეგად ვითარდება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- აბაშვილი 2009:** აბაშვილი ვ., ქართული ენის ინგილოური დიალექტი. თბილისი, 2009.
- აბულაძე 1973:** აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.
- გოცირიძე 2003:** გოცირიძე ი., თურქული ენის სახელმძღვანელო. თბილისი, 2003.
- იმნაიშვილი 1957:** იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბილისი, 1957.
- იმნაიშვილი 1966:** იმნაიშვილი გ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.
- კარტოზია 2005:** კარტოზია გ., ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი, 2005.
- კუბლაშვილი 1985:** კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი. თბილისი, 1985.
- მარტიროსოვი 1984:** მარტიროსოვი ა., ქართული ენის ჯავახური დიალექტი. თბილისი, 1984.
- როსტიაშვილი 1978:** როსტიაშვილი ნ., ინგილოური ლექსიკონი, თბილისი, 1978. ქდგ: <https://www.ice.ge/liv/liv/ingilour.php>.
- ნიჟარაძე 1961:** ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.
- ნოღაიდელი 1960:** ნოღაიდელი ჯ., აჭარული კილოს თავისებურებანი. თბილისი, 1960.
- სარჯველაძე 1975:** სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975.
- სარჯველაძე 1995:** სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები. თბილისი, 1995.
- ტაო 2020:** ტაო (მონოგრაფია). ავტორები: მ. ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაზე, მ. ხალვაში, ჯ. ჩხვიმიანი, ჯ. კარალიძე. ბათუმი, 2020.
- უთურგაძე 1986:** უთურგაძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი. თბილისი, 1986.
- ფუტკარაძე 1993:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ტ. I. ბათუმი, 1993.
- ფუტკარაძე 2016:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ტ. II. ბათუმი, 2016.

შანიძე 1930: შანიძე ა., ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია. თბილისი, 1930.

შანიძე 1976: შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა. თბილისი, 1976.

შარაძენიძე 1956: შარაძენიძე თ., მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში. სბიქე, I. თბილისი, 1956.

ჩიქობავა 1936: ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936.

ჩიქობავა 1937: ჩიქობავა არნ., მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის. ენიმკის მოამბე, I, თბილისი, 1937. ასევე: სბიქე, I. თბილისი, 1956.

ცოცანიძე 1978: ცოცანიძე გ., ფშაური დიალექტი. თბილისი, 1978.

ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი, 1989.

ჯორბენაძე 1998: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, II. თბილისი, 1998.

Климов 1962: Климов Г., Склонение в картвельских языках сравнительно-историческом аспекте. Москва, 1962.

ქდვ: ქართული დიალექტური კორპუსი: <https://www.ice.ge/liv/liv/mesxuri.php#> დამოწმება: 14.08.2021.

ექსპედ. მასალა: სტატიის ავტორის მიერ 2009-2019 წლებში ტაოს სოფლებში ჩაწერილი დიალექტური მასალა. ინახება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.